

**GeoSTM**

საქართველოს სტანდარტები  
და მეტროლოგია

# საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

2016 წლის ანგარიში



## შინაარსი

1. პროექტები.....	2
2. სტანდარტიზაცია .....	3
3. მეტროლოგია .....	6
4. საერთაშორისო აქტივობები .....	10
5. ღონისძიებები .....	13






## 1. პროექტები

სააგენტოში დასრულდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის (CIB comprehensive Institutional Building): პირველი ეტაპის საგრანტო კონტრაქტით გათვალისწინებული ღონისძიებები:

- სააგენტოს ინფრასტრუქტურის რენოვაციის სამუშაოები;
- დამხმარე ინფრასტრუქტურის სრული განახლება;

სააგენტოში დაიწყო CIB პროგრამის II ეტაპი, რომლის ფარგლებში განხორციელდა 2 პროექტი:

- ტექნიკური დახმარების პროექტი;
- შესყიდვის პროექტი - სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ბაზის განახლებისთვის (მიღებულია და ექსპლუატაციაში გაშვებულია მაიონიზებული გამოსხივების, მცირე მოცულობების, ძალის, წნევისა, აკუსტიკური გაზომვების, ტემპერატურისა და ტენიანობის, რადიოფიზიკის, ოპტიკის, დროისა და სიხშირის, გეომეტრიული გაზომვების, დიდი მასების სტაციონალური ლაბორატორიისა და მობილური ლაბორატორიების აღჭურვილობა).





## 2. სტანდარტიზაცია

2016 წელს ჩამოყალიბდა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტი „ბუნებრივი გაზის“ (ტკ 6) სფეროში.

2016 წლის განმავლობაში სტანდარტების ტექნიკურმა კომიტეტებმა მიიღეს შემდეგი სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიები:

- ტკ 1 ელექტროტექნიკური კომიტეტი - 1 სტანდარტი;
- ტკ 4 ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები - 4 სტანდარტი;
- ტკ 2 მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება - 3 სტანდარტი;
- ტკ 3 სასურსათო პროდუქცია - 13 სტანდარტი;
- ტკ 5 მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები - 4 სტანდარტი;
- ტკ 5 ბუნებრივი გაზი - 1 სტანდარტი;

2016 წლის 12 თვის განმავლობაში საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO/TBT) ეროვნული საინფორმაციო ცენტრის მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათი კომპეტენციის შესაბამისად, ინფორმაციისათვის დაიგზავნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ 473 ნოტიფიკაცია;

2016 წლის 12 თვის განმავლობაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოში გაიგზავნა 6 ნოტიფიკაცია, საქართველოში მიღებული ტექნიკური რეგლამენტების შესახებ; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მიეწოდათ საქართველოს მიერ ნოტიფიცირებული ტექნიკური რეგლამენტის, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების 33 სრული ტექსტი;






2016 წლის 12 თვის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 2196 სტანდარტი:

- სსტ ისო(საერთაშორისო სტანდარტი) -409,
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) -1498,
- სსტ იეკ (ელექტრო ტექნიკური კომიტეტის სტანდარტი)-247;
- სსტ ეტსი ენ (ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის სტანდარტი) -42;

დიაგრამა 1.

სულ : 2196 სტანდარტი






2016 წლის 12 თვის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ სულ გაცემულია 342 სტანდარტი (იხ. დიაგრამა 2):

- სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) – 129,
- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი)- 54,
- გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) –27,
- სსტ (საქართველოს სტანდარტი) -89,
- სსტ იეკ (ევროპის ელექტროტექნიკური კომისიის სტანდარტი) – 7
- სტანდარტიზაციის სხვა დოკუმენტები - 36.

დიაგრამა 2.





### 3. მეტროლოგია

- სააგენტოში პერმანენტულად ხორციელდება ეტალონური ბაზის შენახვისათვის აუცილებელი სამუშაოები, რაც გულისხმობს სისტემატიურ ყოველდღიურ გაზომვებს ეტალონების მეტროლოგიური მახასიათებლების მდგრადობის უზრუნველსაყოფად;
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO/IEC 17025 მოთხოვნების შესაბამისად, 28.01.2016 ჩატარდა ყოველწლიური მიმოხილვა მენეჯმენტის მხრიდან;
- სააგენტომ აღიარებულ სფეროებში მომსახურებას უწევს სომხეთის რესპუბლიკის აკრედიტებულ კერძო საგამოცდო ლაბორატორიას, რომელმაც სააგენტოს მომართა როგორც 2015 ასევე 2016 წ. საწონებისა და თერმომეტრების დაკალიბრების და აღიარებული დაკალიბრების სერტიფიკატების მიღების მიზნით.
- სააგენტოს გეომეტრიული გაზომვების ეტალონურ განყოფილებაში ევროპული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში ევროპელი ექსპერტის მიერ 07.03.2016 – 11.03.2016 ჩატარდა ტრენინგის პირველი ეტაპი. მოხდა განყოფილების მიერ მომზადებული დაკალიბრების პროედურების განხილვა. მოხდა განყოფილების ეტალონური ბაზის მნიშვნელოვანი განახლება ევროპული შესყიდვის პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია თანამშრომლების სტაჟირება ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში და ორმხრივი შედარებების ორგანიზება.
- სააგენტოს გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილებისთვის სააგენტოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შეძენილი და დამონტაჟებულ იქნა მეტროლოგებისა და მზომი ლენტებს მაკალიბრებელი/სამოწმებელი აღჭურვილობა. ასევე შეძენილ იქნა ნიველირებისა და თეოდოლიტების მაკალიბრებელი აღჭურვილობა, რომლიც დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში იქნა გაშვებული 2016 წ. III კვარტალში.
- სააგენტოს ელექტროგაზომვების ეტალონური განყოფილების და რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის ეტალონური განყოფილების სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს Keysight Technologies (ყოფილი Agilent Technologies) მიერ წარმოებულ თანამედროვე ხელსაწყოებს და გაზომვის საშუალებებს (ელექტრონული გაზომვები) პრეზენტაციაში.
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის, ეტალონურმა განყოფილებამ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის # 994 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად მოახდინა სალარო საკონტროლო აპარატების გამოცდები და მოამზადა შესაბამისი დასკვნები.
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის, ეტალონური განყოფილებისთვის სააგენტოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში



- შემენილ იქნა რადარების/სიჩქარმზომების საკალიბრებელი მოწყობილობა, მინების დამუქების მზომი ხელსაწყოების მაკალიბრებელი შუქფილტრები.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მექანიკის ეტალონურ განყოფილებაში ჩატარდა სამრეწველო მრიცხველების დასაკალიბრებელი სტენდის მოდერნიზაციის სამუშაოები, დასრულდა სტენდის შემდგომი მოდერნიზაცია აირის დაბალი ხარჯის დიაპაზონის დაფარვის მიზნით. სააგენტოს მიერ შეძენილ იქნა და დამონტაჟდა შესაბამისი აღჭურვილობა.
  - სააგენტოს მაიონიზებელი მეტროლოგიის განყოფილებაში ევროკავშირის პროექტის ფარგლებში განახლდა ეტალონური ბაზა, მიღებული და ექსპლუატაციაში გაშვებულ იქნა და ექსპლუატაციაში გაუშვა ორი ხელსაწყო-დანადგარი. ევროპელი ექსპერტმა ჩაატარა შესაბამისი ტრენინგი თანამშრომლებისათვის, ასევე განყოფილების თანამშრომელმა გაიარა პრაქტიკული ტრენინგები ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში. ევროკავშირის შესყიდვის პროექტის ფარგლებში ამავე განყოფილების წნევის ლაბორატორიაში მიღებულია და ექსპლუატაციაში გაშვებული ეტალონური აღჭურვილობა და დანადგარები სხვადასხვა დიაპაზონის მანომეტრების დასაკალიბრებლად. თანამშრომლები გადიან შესაბამის სწავლებას, დაგეგმილია სტაჟირება ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში. მიმდინარეობს COOMET-ის შედარებებში 641/ BY-a/14 მონაწილეობისათვის მოსამზადებელი სამუშაოები.
  - სააგენტოს მაიონიზებელი მეტროლოგიის განყოფილების მიერ 2016 წლის 12 თვის მდგომარეობით გაწეულ იქნა შემდეგი მომსახურება. დაკალიბრება - 74 ხელსაწყო; წარმოდგენილი ნიმუშის რადიაციული კვლევა - 60 ერთეული;
  - სააგენტოს მაიონიზებელი მეტროლოგიის ეტალონურმა განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ტექნიკური რეგლამენტის „სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნები“ განხილვასა და შესაბამისი წინადადებების მომზადებაში.
  - მასისა და მასასთან დაკავშირებული ეტალონური განყოფილების მცირე მოცულობების ლაბორატორიაში ევროპული შესყიდვის პროექტის ფარგლებში მიღებულ იქნა და ექსპლუატაციაში გაიშვა მცირე მოცულობის (ავტომატური პიპეტები, ლაბორატორიული მზომი ჭურჭელი და ა.შ) დასაკალიბრებელი გაზომვის საშუალებები; ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში განხორციელდა ევროპელი ექსპერტის ვიზიტი, პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგები ასევე მოხდა განყოფილების თანამშრომლის სტაჟირება ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში.
  - სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილებაში ევროპული შესყიდვის პროექტის ფარგლებში მიღებულ იქნა და ექსპლუატაციაში გაიშვა აკუსტიკური ლაბორატორიის ეტალონური და სანიმუშო აღჭურვილობა. ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში განხორციელდა ევროპელი ექსპერტის ვიზიტი, პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგები. ასევე 2017 წ.განხორციელდება განყოფილების თანამშრომლის სტაჟირება ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში.
  - გრძელდება გაზომვითი სამუშაოები COOMET-ის პროექტის #624/GE/-a13 (BIPM-ის მონაცემთა ბაზაში: COOMET.EM-S19) „ელექტრული წინააღობის ეტალონური ზომების 100





ომი და 100 კომი საერთაშორისო შედარებების“ ფარგლებში. ამ შედარებებში GEOSTM-ის ელექტრობის ეტალონური განყოფილება ასრულებს წამყვანის (პილოტის) როლს. BIPM-ის საერთაშორისო შედარებების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებულია COOMET.EM-S18. მონაწილეობს 10 ქვეყნის ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტი: GEOSTM (Georgia); VNIIM (Russia); BELGIM (Belarus); AZSTAND (Azerbaijan); IMBiH (Bosnia and Herzegovina); INIMET (Cuba); KazInMetr (Kazakhstan); VMT/FTMC (Lithuania); INM (Republic Moldova); MASM (Mongolia). გაზომვები უკვე ჩატარდა 8 მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტში.

- სააგენტოს ელექტრობის ეტალონური განყოფილებას დაგეგმილი აქვს მონაწილეობის მიღება COOMET #681/RU/16 შეთანხმებულ თემაში - დენის ტრანსფორმატორების გაზომვების დამატებითი შედარებები. პილოტი - FGUP „UNIIM“ (რუსეთი, ეკატერინბურგი), მონაწილეები: CMI (ჩეხეთი), UMTS (უკრაინა, კიევი), Kazinmetr (ყაზახეთი). სტატუსი - შეთანხმებული.
- ასევე დაგეგმილია მონაწილეობის მიღება COOMET #695/UA/16 (BIPM-ის მონაცემთა ბაზაში COOMET.EM-K5) შედარებებში - ელექტრული სიმძლავრის ერთეულის ეროვნული ეტალონების საკვანძო შედარებები. პილოტი UMTS (უკრაინა, კიევი), დამაკავშირებელი ინსტიტუტი (linking laboratory) – NIM (ჩინეთი). სტატუსი - შეთანხმებული.
- ელექტრობის განოფილება მონაწილეობს COOMET-ის პროექტი #668/RU/15 „კომეტის წევრი ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტების ეტალონების შედარებების დებულების“ (COOMET R/GM/11:2010) ახალი რედაქციის შემუშავებაში.
- COOMET-ის პროექტი #604/RU/13 (BIPM-ის მონაცემთა ბაზაში COOMET.EM-S18) „სამრეწველო სიხშირის ცვლადი ძაბვის (1...150)კვ ელექტრული ტევადობის და დიელექტრიკული დანაკარგების კუთხის გაზომვის ეტალონური სისტემების დამატებითი შედარებების“ შესახებ გამოქვეყნებულია სტატია საერთაშორისო ტექნიკურ ჟურნალში „Законодательная и прикладная метрология“ №3 (142 2016) ISSN 0889-575X Per №1384 18.12.91.
- სააგენტოს ტემპერატურული გაზომვების ლაბორატორია მონაწილეობს საერთაშორისო შედარებებში „პლატინის წინაღობის თერმომეტრების შედარება (-40 ÷ 420) °C-ის დიაპაზონში“(COOMET 642/MD/14). პილოტი VNSIM (მოლდოვა), მონაწილეები: CSM (ყირგიზეთი); KazinMetr (ყაზახეთი); GEOSTM (საქართველო); AZSTAND (აზერბაიჯანი); IMBiH (ბოსნია ჰერცეგოვინა); UME (თურქეთი)
- სააგენტოს გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილებამ ორგანიზება გაუკეთდა საქართველოს ფარგლებში ლაბორატორიათაშორისი შედარებების ჩატარებას გეომეტრიული გაზომვების სფეროში შტანგენფარგლის მაგალითზე. შედარებებში მონაწილეობას ღებულობს სამი აკრედიტებული ლაბორატორია, პილოტი ლაბორატორიის ფუნქციას ასრულებს სააგენტოს გეომეტრიული გაზომვების განყოფილება. შედარები დასრულებულია, გაფორმებული შეასბამსისი ანგარიში, რომელიც მიეწოდა მონაწილეებსა და აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს.
- ტიპის რეესტრი (ექსპერტიზა, აღიარება, რეგისტრაცია): 2016 წლის 12 თვის მდგომარეობით სულ რეგისტრირებულია დაკანონებული გაზომვის საშუალების 8 ტიპი;






- 2016 წლის 12 თვის მდგომარეობით განხორციელდა 49704 ერთეული გამზომი საშუალების პირველადი დამოწმების აღიარება, მათ შორის (იხ. დიაგრამა 3):
  - ელექტრომრიცხველები - 327 ცალი;
  - გაზის მრიცხველები - 104 402 ცალი;
  - წყლის მრიცხველები - 44 975 ცალი;

დიაგრამა 3.

სულ 49 704



## 4. საერთაშორისო აქტივობები

- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში ა.წ. 7 და 8 ივნისს ჩატარებულ სემინარებში: ევროკავშირის კანონმდებლობის მიმოხილვა საკანონმდებლო მეტროლოგიის სფეროში: გაზომვის საშუალებების დირექტივა (MID) და არაავტომატური საწონი საშუალებები (NAWI); ასევე სტანდარტის ISO/IEC 17025 ახალი ვერსიის პროექტის მიმოხილვა.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო CIPM MRA ურთიერთალიარების შეთანხმების გადახედვის პროცესთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში, რომელიც გაიმართა 14-15 მარტს ქ.პარიზი, საფრანგეთი.
- სააგენტოს ელექტროგაზომვების, ასევე მასისა და მასასთან დაკავშირებული გაზომვების განყოფილების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ტექნიკურ ექსპერტად მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო შეფასებაში, რომელიც ჩატარდა უკრაინაში (ქ. ხარკოვი) და (ქ. კიევი), უკრაინის მეტროლოგიის ინსტიტუტების „NNC მეტროლოგიის ინსტიტუტი“ და „უკრმეტრეტესტსტანდარტი“-ს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შემოწმებისას.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა როგორც წამყვანმა აუდიტორმა მონაწილეობა მიიღო COOMET-ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო შეფასებაში, რომელიც ჩატარდა უკრაინაში (ქ. ხარკოვი) უკრაინის მეტროლოგიის ინსტიტუტის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შემოწმებისას.
- სააგენტოს მექანიკის განყოფილების სპეციალისტმა ა.წ. 12-13 აპრილს მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა მეტროლოგების სასწავლო სემინარზე „გაზომვების სიზუსტე და განუსაზღვრელობის ანგარიშები“, რომელიც გაიმართა ბელორუსში, ქ. მინსკი მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET ეგიდით.
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო COOMET-ის „ტექნიკური კომიტეტის ტკ 1.7 ფოტომეტრია-რადიომეტრია სხდომასა და სემინარში “დაკალიბრების და გაზომვის შესაძლებლობები“-s (CMC) მომზადება და ექსპერტიზა ფოტომეტრია-რადიომეტრიის სფეროში“, რომელიც გაიმართა 24-27 მაისს ქ. კიშინიოვში (მოლდავეთი)
- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების CEN-CENELEC გენერალურ ასამბლეაში, რომელიც გაიმართა 7-8 ივნისს, მაკედონიაში.
- ა.წ. 18-22 ივნისს სააგენტოს მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდეების ეტალონური განყოფილების თანამშრომლებმა მცირე მოცულობების დაკალიბრების სფეროში გაიარეს ტრენინგი თემებზე:



- პიპეტების დაკალიბრება (Calibration of pipettes);
- ISO 8655 სტანდარტის დანერგვა (introduction of the international standard ISO 8655);
- Euramet cg.18 დაკალიბრების სახელმძღვანელოს დანერგვა (introduction of the calibration guide Euramet cg.18)
- სააგენტოს მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მასის ერთეულის რედეფინიციისა და ახალი ეტალონთან Si-kg-სთან დაკავშირებულ სემინარზე, რომელიც გაიმართა ა.წ. 21-22 ივნისს, გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტში, PTB.
- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ ორგანიზებულ ტრენინგ კურსში „New Rights Pilot Programme“, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 20-24 ივნისს, ქ. ჟენევაში.
- სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს TAIEX-ის მიერ ორგანიზებულ „სტანდარტიზაციის სფეროში ევროპული რეგულაციის დარეგვის შესახებ“ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 19-20 ივლისს, ქ. კიშინიოვში. საქართველოს გარდა აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ მოლდოვის, უკრაინის სტანდარტების სამსახურის წარმომადგენლები.
- სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გამართულ სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის ISO გენერალურ ასამბლეაში, რომელიც გაიმართა 9-14 სექტემბერს.
- სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა და სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC) ყოველწლიურ შეხვედრაში, რომელიც გაიმართა 2016 წლის 10-14 ოქტომბერს, ქ. ფრანკფურტში, გერმანია.
- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში „ISO regional workshop on Consumer involvement: engaging consumers in standards development“, რომელიც გაიმართა 2016 წლის 07-09 დეკემბერს, ქ. ვენაში, ავსტრია.
- სააგენტოს ტემპერატურული ლაბორატორიის მთავარმა სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET ტექნიკური კომიტეტის TC 1.10 “თერმომეტრია“ შეხვედრაში, რომელიც გაიმართა 07-08 სექტემბერს ყირგიზეთში, ქ. ბიშკეკი.
- სააგენტოს გეომეტრიული გაზომვების განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET ტექნიკური კომიტეტის TC 1.5 “სიგრძე და კუთხე“ შეხვედრაში, რომელიც გაიმართა 14-15 სექტემბერს ლიტვაში, ქ. ვილნიუსი. კომიტეტის შეხვედრაზე განხილულ იქნა გეომეტრიული გაზომვების განყოფილების COOMET-ის ეგიდით გამართულ საერთაშორისო/რეგიონალურ შედარებებში მონაწილეობის საკითხი, რაც განყოფილების საერთაშორისო აღიარებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.



- სააგენტოს მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდეგების ეტალონური განყოფილების და წნევის ლაბორატორიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის TC 1.6 „მასა და მასასთან დაკავშირებული სიდეგები“ შეკრებაზე, რომელიც გაიმართა ა.წ. 19– 21 ოქტომბერს მოლდოვაში, ქ. კიშინიოვი.
- სააგენტოს ელექტრობის, მექანიკისა და მასის ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლებმა გაიარეს აკრედიტაციის ცენტრის საკ-ის შემფასებლების გაძლიერებული ტრენინგი ISO/IEC 17020:2012-ის სტანდარტის შესაბამისად, რომელიც ჩატარდა ა.წ. 21–22 ნოემბერს.
- სააგენტოს მაიონიზებელი გამოსხივების ეტალონური განყოფილების 2 თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს გარე-მოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოში გამართულ ტრენინგ-კურსებზე (10-14 ოქტომბერი 2016), რომელიც გაიმართა საქართველოსა და ატომ-მური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შორის ბირთვული იარაღის გაუვრცელობლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე.
- CIB პროგრამის ევროპული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტისა და სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლების სტაჟირებები. განხორციელდა მეტროლოგიის ინსტიტუტის ხარისხის მენჯმენტის სისტემის წარმომადგენლების, მცირე მოცულობების და რადიაციული გაზომვების, ელექტროგაზომვების, ტემპერატურისა და ტენიანობის, რადიოფიზიკის, აკუსტიკის, ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტები ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში. აღნიშნული პროცესი გაგრძელდება 2017 წ.
- რეგიონალური პროექტის ფარგლებში 26.09.16.-28.09.16. სააგენტოს ფიზ-ქიმიური გაზომვების ეტალონურ განყოფილებაში იმყოფებოდა გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის PTB ექსპერტი/კონსულტანტი დოქტორი ტინ ვინ. პროექტის ფარგლებში ექსპერტმა 29-30 სექტემბერს ჩატარა ტრენინგი „მეტროლოგია ქიმიამი - ტესტირების ლაბორატორიებისთვის“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს ფიზ-ქიმიური გაზომვების ეტალონურ განყოფილების თანამშრომლებმა, რომლებმაც პრეზენტაცია გააკეთეს სააგენტოსა და განყოფილებების სერვისების თაობაზე.
- CIB ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტების მიერ სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები: „Training on Standartisation: QMS and New ISO 9001:2015 (28 ივნისი-8 ივლისი; 16-29 სექტემბერი); „GeoSTM Standard Menegment and Information System“ და GeoSTM Standard Menegment and Information System“; Object Identifiers (OID) (3-9 ოქტომბერი) საკითხებზე.





## 5. ღონისძიებები

- 2016 წლის 28 სექტემბერს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო დასახელდა ერთერთ ყველაზე წარმატებულ საჯარო ორგანიზაციად ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, 2015-2016 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.
- 2016 წლის განმავლობაში გაიმართა გაცნობიერებულობის ამაღლების სემინარები შემდეგ ქალაქებში: ქ. თელავში, ქ. ფოთში, ქ. ახალციხეში, ქ. ქუთაისში და ქ. ბოლნისში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შესაბამისად რეგიონებში მოქმედმა მეწარმეებმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. აღნიშნული სემინარები გაიმართა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის („საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მხარდაჭერა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“) ფარგლებში. სემინარში მონაწილეობა მიიღეს პროექტის ფარგლებში მოწვეულმა ევროპელმა ექსპერტებმა ასევე, ასევე საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის და სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა.
- ზემოთ აღნიშნული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში სააგენტოს თანამშრომლების ინგლისური ენის უნარების გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა ინგლისური ენების კურსები. აღნიშნულ კურსებში მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის, მეტროლოგიის ინსტიტუტისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. კურსები ჩატარდა 2 ეტაპად, რომელიც წარმატებით გაიარა სააგენტოს 30-მდე თანამშრომელმა.
- 2016 წლის 8 და 15 ნოემბერს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოში გაიმართა საჯარო ლექცია აგრარული უნივერსიტეტის კვების პროდუქტების ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან.
- ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს: ჩეხეთის სტანდარტიზაციის ორგანიზაციასთან(08.02.2016) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან(17.06.2016);





**GeoSTM**

საქართველოს სტანდარტები  
და მეტროლოგია



ჩარგლის ქ. 67, თბილისი 0178



(+995 32) 261 35 00



[geostm@geostm.ge](mailto:geostm@geostm.ge)

[www.geostm.gov.ge](http://www.geostm.gov.ge)